19.12

პროექტი

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 წლის ანგარიშგების, მომავალი თაობების ფონდისა და სტაბილური განვითარების ფონდის 2008 წლის ანგარიშგების გარე აუდიტის დანიშვნის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 წლის ანგარიშგების, მომავალი თაობების ფონდისა და სტაბილური განვითარების ფონდის 2008 წლის ანგარიშგების აუდიტორად დაინიშნოს აუდიტორული ფირმა **„შ.პ.ს. ერნსტ ენდ იანგი“ („Ernst & Young“-ი)**.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის აუდიტორული შემოწმების სრული ღირებულება განისაზღვროს 223905 ლარი. მომავალი თაობების ფონდის აუდიტორული შემოწმების სრული ღირებულება განისაზღვროს 14603 ლარით, ხოლო სტაბილური განვითარების ფონდის აუდიტორული შემოწმების სრული ღირებულება განისაზღვროს 14603 ლარი. სულ 253111 ლარი.

3. საქართველოს ეროვნული ბანკის 2008 წლის ანგარიშგების, მომავალი თაობების ფონდისა და სტაბილური განვითარების ფონდის 2008 წლის ანგარიშგების გარე აუდიტის ხარჯები გასწიოს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.

4. დაევალოს საქართველოს ეროვნულ ბანკს, აუდიტორულ ფირმასთან **„შ.პ.ს. ერნსტ ენდ იანგ“–თან („Ernst & Young“-თან)** გააფორმოს ხელშეკრულება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *დავით ბაქრაძე*

თბილისი,
2008 წლის — დეკემბერი.
N